სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

15 დეკემბერი 2023

გადაწყვეტილება # P23000012/0-1 (15/12/2023 13:14:21)

რეგისტრაციის შესახებ

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22–ე და 23–ე მუხლებისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს N161 ბრძანების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ

გადაწყვიტა:

1. რეგისტრირებულ იქნეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სოლიდარობა მშვიდობისთვის“;

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში, მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge მეშვეობით.